პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 240 (3979)
10 დეკემბერი, ოთხშაბათი.
1969 წ.
ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ახლახან მინსკში მწყობრში ჩადგა ახალი ღია საცურაო აუზი, სადაც წყალს 3200 კვადრატული მეტრი უჭირავს. აქ მთელი წლის მანძილზე ჩატარდება ვარჯიში. ზაფხულში აუზის ირგვლივ თავისებური პლაჟის მოწყობა შეიძლება.

სურათზე: მოცურავეთა წვრთნა ღია საცურაო აუზში.

ფოტო მ. მინკოვიჩისა (აას-ი)

„ტულის სამოვარი“ — საბჭოთა ნაკრებს

მოსკოვი, 8 დეკემბერი. გაზეთ „იზვესტიას“ პრიზზე ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა საბჭოთა ნაკრებმა, რომელმაც დღეს გამართულ ბოლო მატჩში სძლია მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორებს — შვედებს — 6:2.

ტურნირის შემდეგ გუნდებსა და ჰოკეისტებს გადაეცათ უამრავი პრიზი და საჩუქარი.

მთავარი ჯილდო — „იზვესტიის“ პრიზი — „ტულის სამოვარი“ მასპინძლებს გადაეცათ.

შეჯიბრების საუკეთესო ჰოკეისტებად აღიარეს: მეკარეებში — უ. სტეფენსონი (კანადა), მცველებში — პოსპიშილი (ჩეხოსლოვაკია), თავდამსხმელებში — მიხაილოვი (სსრ კავშირი).

აი, გათამაშების საბოლოო ცხრილი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	შ.	ქ.
სსრ კავშირი	5	4	1	0	25—10	9
კანადა	5	3	1	1	22—13	7
ჩეხოსლოვაკია	5	3	0	2	29—17	6
შვეცია	5	2	0	3	18—24	4
ფინეთი	5	1	0	4	19—35	2
გდრ	5	1	0	4	17—31	2

ლაზარევიჩი, გაფრინდაშვილი...

ვრნიაჩკა-ბანია, 9 დეკემბერი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე მოჭადრაკე ქალთა შეჯიბრებაში გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ 5,5 ქულით (6-დან) ლიდერობს იუგოსლაველი მ. ლაზარევიჩი. II ადგილზეა მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, რომელიც მასპინძელს ნახევარი ქულით ჩამორჩება.

ჰერკულესი

წლეულს ბრნოში, ველომრბოლელთა მსოფლიო ჩემპიონატში ცნობილი ჩეხოსლოვაკიელი ჟურნალისტი რობერტ ბაკალარი შეხვდა და ესაუბრა ველოსპორტის გამოჩენილ სპეციალისტებსა და სპორტსმენებს (ფრანგ ველოსიპედისტთა მწვრთნელს ლუის ჟერარდენს, ველომრბოლელებს — ფრანგებს დანიელ მორელონსა და პიერ ტრანტენს, შვედ სიგვარდ პეტერსონს). მათ შორის ბაკალარმა ინტერვიუ ჩამოართვა ჩვენს სახელოვან სპორტსმენს, მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, სხვადასხვა წელს მსოფლიო ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორს ომარ ფხაკაძეს. გთავაზობთ ამ ინტერვიუს თარგმანს, რომელიც ჩეხოსლოვაკიის სპორტულ ჟურნალ „სტადიონში“ დაიბეჭდა სათაურით „ჰერკულესი“.

ის სკამზე იჯდა. უველოსიპედოდ და უმაისუროდ მისი ცნობა ძნელი იყო. ტანზე შემოტკეცილმა ვერცხლისფერმა შარვალმა, ქურციკის ტყავის პიჯაკმა, თვით ჯდომის მანერამ — ყოველივე ამან ჩემს თვალწინ მოდების ჟურნალის ასევე წამიერად გადაფურცლული გვერდი გააელვა. ძნელია იგი სხვაში აგერიოთ: ფართო მხარ-ბეჭი, ძლიერი ბიცეფსები, დაკუნთული ფეხები მოგვაგონებთ ჰერკულესს ბერძნული მითოლოგიიდან. მაგრამ გოლიათი ველოსპრინტერი წარმოშობით ქართველია, საქართველოში დაიბადა და მშობლებმა სახელად ომარი დაარქვეს.

ველოსპორტის ჰერკულესი ომარ ფხაკაძე უკვე რამდენიმე წელია მსოფლიო ელიტას ეკუთვნის. 1965 წელს მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისა და 1966 წელს მოხვეჭილი მესამე ადგილის შემდეგ მან ბრნოში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში ვერცხლის მედალი მიიღო.

STADIÓN

ომარმა სიამოვნებით გამცა პასუხი შეკითხვებზე:

● **ხომ არ გასწევთ რისკს და განსაზღვრავთ თქვენი დისციპლინის შემდგომ განვითარებას? ძალის გზას გაჰყვებით თუ ეშმაკობასა და ტაქტიკას ამჯობინებთ?**

— ალბათ იმიტომ, რომ ძალისმიერ ველომრბოლელთა კატეგორიის წარმომადგენელი ვარ, მინდა ვირწმუნო, რომ სწორედ სპრინტის მომავალი მას ეკუთვნის. მაგრამ ისე არ გამიგოთ, თითქოს ტაქტიკურ და გონივრულ სპრინტს ერთი ხელის მოსმით უარვყოფდე. არა. განვმარტავ მხოლოდ, რომ ძალისა და ტაქტიკის აუცილებელ ურთიერთშერწყმაში წამყვან, გაბატონებულ პოზიციას მომავალში ძალა დაისაკუთრებს.

● **თუმცა ფიზიკური ძალის გარკვეულად ჭარბი მარაგი გაქვთ, მაგრამ ხომ დამარცხდით უფრო სუსტ დანიელ მორელონთან? რით ხსნით ამ ფაქტს?**

— ო, ეს ასეა! დანიელი უმაღლესი საერთაშორისო კლასის მრბოლელია. მასთან დამარცხებისა არავის რცხვენია ხოლმე და მეც სიამოვნებით მივაკუთვნებ ჩემს თავს მათ კატეგორიას. რაც შეეხება წყნას — ყველა დამარცხება საწყენია. აქვე მინდა შევავსო წინა პასუხი: ძალისმიერი ველომრბოლელები მომავალში აუცილებლად დათრგუნავენ მორელონის მსგავსთა გონებას. წლეულს მორელონს მხოლოდ ერთხელ შევხვედი და ისიც ბრნოში. მეხიკოს ოლიმპიადის შემდეგ მისი რბოლა არ მინახავს. როგორც თვითონ მითხრა, პროფესიონალ ველომრბოლელებთან ვარჯიშობდა, ეს კი, მოგეხსენებათ, ცოტას როდი ნიშნავს. შინ მე ფაქტიურად არა მყავს — ნუ ეწყინებათ ჩემიანებს — ტოლფასოვანი მეტოქეები. ჩემთვის ეს მაინცდამაინც სახარბიელო როდია.

● **თქვენი ოსტატობისა და უნარიანობის წყალობით ღრმა პატივისცემას იმსახურებთ. მაგრამ ახლა წინასწარ პატიებას გთხოვთ ერთი არადელიკატური შეკითხვის გამო: ხომ ვერ გამანდობთ თქვენს რაიმე ნაკლს?**

— სიამოვნებით. ვერა და ვერ დავეუფლე მეტოქისთვის ანგარიშის გაწევის „ხელოვნებას“, რაც ბუნებრივია, მეტისმეტ თვითდაჯერებას იწვევს. ამის გამო, ერთხელაც იქნება, მკაცრად დავისჯები.

● **დარწმუნებული ხართ, რომ ისევ შეძლებთ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას?**

— დარწმუნებული რომ არ ვიყო და მუდმივად არ ვფიქრობდე ამაზე, არა თუ მსოფლიო ჩემპიონატებში, არც ერთ სხვა შეჯიბრებაში არ გამოვიდოდი.

● **ბოლო შეკითხვა: რას აკეთებთ, როცა ველოსიპედით არა ხართ დაკავებული?**

— დავრბივარ, მაგრამ ნაკლებად. სამაგიეროდ, საკმაოდ კარგად ვცურავ და თანაც დიდხანს. ვსწავლობ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში — ჩემი სპეციალობა მეღვინეობაა. მინდა გითხრათ — ქართველები კი ასეთ საკითხებში კომპეტენტური ვართ — თქვენი ღვინოები არც ისე ურიგოა.



HERKULES

საპატიო წიგნში

ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მრავალი წლის აქტიური მოღვაწეობისა და დიდი დამსახურებისთვის, დაბადების 60 წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი ვასილის ძე სიხარულიძე** შეტანილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის **საპატიო წიგნში.**

კინაღამ დაამხო

მას შემდეგ, რაც ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა, იაპონელმა ძალოსანმა ი. მიაკემ მსოფლიო რეკორდების ცხრილში ამერიკელი ი. ბერგერის (აკვრა — 152,5 კგ) უძველესი მიღწევა მოხსნა, სიძველის პალმა განსვენებული საბჭოთა ათლეტის ე. კაცურას (მსუბუქი წონა) მსოფლიო რეკორდს დარჩა, — აჯიმვა, 145 კგ.

და აი, ბუქარესტში, ბალკანეთის ქვეყნების ძალოსანთა მიმდინარე ჩემპიონატში, რუმინელმა ბ. ფიციმ კინაღამ ეს რეკორდიც ისტორიის კუთვნილებად აქცია. მართალია, მან საკმაოდ მოკრძალებული შედეგით გაიმარჯვა მსუბუქი წონის ათლეტთა შორის (415 კგ), მაგრამ აჯიმვაში კაცურას რეკორდი გაიმეორა.

20^{45}

◆ **ვორონეჟი,** 9 დეკემბერი. ადგილობრივი ჩარხსაშენი ქარხნის სპორტის სასახლეში გაიმართა ვორონეჟისა და დასავლეთ ბერლინის ტანმოვარჯიშე ქალთა ამხანაგური მატჩი. ბრწყინვალედ იასპარეზა სსრ კავშირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა ლ. ბურდამ, რომელმაც ყველას აჯობა დვირზე და თავისუფალ ვარჯიშში, II ადგილი დაიკავა ორძელზე, ხოლო III — ბჯენით ხტომებში. მრავალჭიდში ბურდამ 38,05 ქულა დააგროვა და პირველობაც მოიხვეჭა. სტუმართა შორის თავი გამოიჩინა უმაღლესი საქალაქო სპორტული სკოლის სტუდენტმა, დასავლეთ ბერლინის ჩემპიონმა, 19 წლის ბ. დემსკიმ. ბჯენით ხტომებში მან თ. ლიხაჩოვასთან I-II ადგილები გაიყო, მეორე იყო დვირზე ვარჯიშში, მესამე — ორძელზე და მრავალჭიდში.

◆ **ბელგრადი,** 9 დეკემბერი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე „განთავისუფლების ტურნირის“ IX ტურმა მხოლოდ ორი შედეგიანი პარტია მოგვცა: გელერმა მოუგო სათლზს, ხოლო გლიგორიჩმა — ტრინგოვს. პოლუგაევსკი ყაიმზე შეუთანხმდა კურაიცას. ყაიმით დამთავრდა, აგრეთვე, პარტიები: ლენდიელი — შახოვიჩი, მატანოვიჩი—იანოშევიჩი, ბუკიჩი — მატულოვიჩი. გადაიდო ბოტვინიკ—ოსტოიჩისა და ჰეხტ — ივკოვის შეხვედრები. 9 ტურის შემდეგ 6-6 ქულით დაწინაურდნენ ლენდიელი და მატულოვიჩი. ლიდერთა ჯგუფში შემდეგ მოდიან: პოლუგაევსკი — 5,5 ქულა, გელერი, გლიგორიჩი და სათლზი — 5-5 ქულა და თითო გადადებული პარტია.

◆ **მარსელი,** 9 დეკემბერი. ადგილობრივ იპოდრომზე გამართულ დიდ საერთაშორისო კროსში — „ჟან ბუენში“ ყველას აჯობა ცნობილმა ინგლისელმა მორბენალმა მ. ტეგმა. მან 500-ზე მეტი მეტოქე ჩამოიტოვა, მათ შორის, 5000 მეტრზე რბენაში მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი, ტუნისელი მ. გამუდი. 7,8 კმ ტეგმა 19 წუთსა და 45 წამში გაირბინა. გამუდი ფინიშთან მეოთხე იყო.

როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინი-კალათბურთის აღიარება

ოქტომბრის დამდეგს გაიმართა თბილისის კალათბურთის ფედერაციის სხდომა, რომელმაც განიხილა მნიშვნელოვანი საკითხი რესპუბლიკის დედაქალაქში მინი-კალათბურთის დანერგვისა და განვითარების გზების შესახებ. ფედერაციამ გადაწყვიტა შეარჩიოს თბილისში 10 საშუალო სკოლა, რომლებსაც აქვთ სათანადო დარბაზები და კალათბურთის სპეციალობით ფიზკულტურის მასწავლებლებიც ჰყავთ. აღნიშნულ სკოლებს დახმარებისთვის მიამაგრებენ ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებს. გამოიყო სპეციალური კომისია, რომელიც შეარჩევს ამ 10 სკოლის კანდიდატურას.

გთავაზობთ მასალას მინი-კალათბურთის, მნიშვნელობისა და წესების შესახებ, რომელიც თბილისის კალათბურთის ფედერაციის დავალებით მოამზადა ამავე ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა გ. ჩახავამ.

მინი-კალათბურთი სპეციალურად ორგანიზებული და მოდიფიცირებული ხაბავშვო თამაშია, რომელმაც უკვე ბევრ ქვეყანაში ჰპოვა ფართო აღიარება და გავრცელება.

ამ რამდენიმე წლის წინ ამერიკის შეერთებულ შტატებში პატარა კალათბურთელები გამოჩნდნენ. ისინი მსუბუქი ბურთებით თამაშობდნენ შედარებით მცირე ფართობის მოედანზე. კალათები ჩვეულებრივზე დაბლა ეკიდა. ნორჩებს თამაში მოეწონათ. იგი სწრაფად მოედო ქვეყნებსა და კონტინენტებს. დღეს მინი-კალათბურთი მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში როდია პოპულარული. ამ თამაშმა ყველგან მოიკიდა ფეხი — პუერტო-რიკოსა და ფინეთში, ავსტრალიასა და ესპანეთში, ბრაზილიასა და იაპონიაში...

სამხრეთ ამერიკაში 1967 წლიდან რეგულარულად ეწყობა კონტინენტის პირველობები. ევროპის ქვეყნებში — გფრ-ში, გდრ-ში, საფრანგეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ესპანეთში, ფინეთში, შვეიცარიაში ყოველ წელიწადს ტარდება ეროვნული ასპარეზობანი. 1966 წლის მიწურულს ესპანეთში მინი-კალათბურთის ეროვნული დღე მოეწყო. ტურნირში საფრანგეთის გუნდებიც მონაწილეობდნენ. მატჩები ბარსელონის სპორტის სასახლეში გაიმართა. ეს დახურული შენობა 10 ათას მაყურებელს იტევს და ტრიბუნებზე ნემსი არ ჩავარდებოდა. სარბიელზე 150 გუნდი გამოვიდა. ფინალურ შეხვედრებში 10-12 წლის გოგონები და ბიჭები მონაწილეობდნენ. იქვე ჩატარდა პირველი საერთაშორისო მატჩი მინი-კალათბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ბარსელონა — ლიონი.

1967 წლის თებერვალში ნიუ-იორკში I მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა ამ სახეობაში. შეჯიბრებაში ჩაებნენ პერუს, ესპანეთის, კანადის, აშშ-ს, პუერტო-რიკოსა და სხვა გუნდები. აშშ-ს გუნდმა ფინალში ანგარიშით 42:39 დაამარცხა ეკვადორის წარმომადგენლები.

სსრ კავშირს მინი-კალათბურთი ცოტა მოგვიანებით ესტუმრა. კალათბურთის საკავშირო ფედერაციის საბავშვო კომისიას თამაშის წესები ჯერ არ დაუმუშავებია და არც გამოუქვეყნებია, მაგრამ კალათბურთის ისეთმა წამყვანმა ცენტრებმა, როგორიც არიან ლატვია და ესტონეთი, უკვე მიიღეს აუცილებელი ზომები მისი პოპულარიზაციისთვის. ამ რესპუბლიკებში უკვე ჩატარდა ნორჩ კალათბურთელთა შეჯიბრებები, რამაც საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია. შეხვედრები ტელევიზიითაც კი გადაიცა.

საქართველოში კალათბურთი უყვართ. ამ თამაშმა დამსახურებულად მოიპოვა პოპულარობა როგორც მოზრდილთა შორის, ისე პატარებშიც. ამ მიმზიდველი, დინამიკური, ათლეტური თამაშის სანახავად მუდამ დიდძალი მაყურებელი იყრის თავს. არ გვეეჭვება, რომ კალათბურთის მოყვარულთა შორის ნორჩების შეჯიბრებებიც დიდ ინტერესს გამოიწვევს.

ეგეც არ იყოს, ჩვენს რესპუბლიკაში ხაუცხოო პირობებია მინი-კალათბურთის განვითარებისთვის. სკოლების უმეტესობაში სპორტდარბაზები უახლოვდება ამ თამაშისთვის საჭირო მოედნის სტანდარტს. საჭიროა მხოლოდ შესაფერისი ფარების დადგმა.

საქართველოსა და თბილისის კალათბურთის ფედერაციები იმედოვნებენ, რომ თამაშის წესების გამოქვეყნების შემდეგ მინი-კალათბურთი თანდათან პოპულარული გახდება ჩვენს რესპუბლიკაში.

* * *

რამ გამოიწვია და რა საფუძველს ეყრდნობა მინი-კალათბურთის ასეთი ნაყოფიერი სტარტი?

ადრეული სპეციალიზაცია სპორტულ თამაშებში, კერძოდ, კალათბურთელთა ტურნირებში ადრეული ასაკიდანვე მონაწილეობის საკითხი სულ უფრო მეტად იქცევს უცხოელი მწვრთნელების, პედაგოგებისა და მეცნიერ-მუშაკების ყურადღებას. და ეს შემთხვევითი არ გახლავთ.

დღეს უმაღლესი კლასის კალათბურთელის მომზადება 7-8 წლის ასაკიდან უნდა იწყებოდეს (რასაკვირველია, ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვებს ვგულისხმობთ). ამ თვალსაზრისით ჯერჯერობით სპორტული პრაქტიკა აშკარად უსწრებს თეორიულ აზროვნებას. ამიტომ ყოველი ახალი გამოკვლევა ბავშვის სხეულის განვითარების კანონზომიერებათა შესახებ მწვრთნელებს საშუალებას აძლევს მეცნიერებთან ერთად დაამუშაონ ადრეული სწავლებისა და შეჯიბრებებში ადრეული ასაკიდანვე მონაწილეობის მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობილი მეთოდიკა.

ამგვარი მეთოდიკის არსს შეადგენს უფროსი ასაკის მოზარდთა ვარჯიშისა და თამაშის არა იმდენად დოზირების შემცირება, რამდენადაც პირობების პრინციპული შეცვლა. მაგალითად, ნორჩი კალათბურთელები ვარჯიშობენ ბურთით, რომლის წონაც ნაკლებია და ზომაც. თამაშობენ ასევე ნაკლები ფართობის მოედანზე, სადაც კალათიანი ფარები მიღებულ სტანდარტზე დაბალია. თამაში გამარტივებული წესებით ტარდება. ინვენტარისა და მოწყობილობის სპეციალური ზომების გამოყენება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტექნიკის განსაზღვრული ხერხების სწავლების პროცესში, თუმცა ეს ხერხები ბავშვებისთვისაც და უფროსებისთვისაც აბსოლუტურად ერთი და იგივეა.

შეჯიბრების დროს ბავშვის ჭარბი აღგზნებადობა დაღლილობის დონის განსაზღვრას ართულებს. ამიტომ გამოცდილი მწვრთნელი არასასურველ ცვლილებას მხოლოდ რთული კოორდინაციული მოძრაობითი აქტების დარღვევის ხასიათის მიხედვით შენიშნავს და დროულად შეცვლის მოთამაშეს. ნორჩ კალათბურთელებს ხშირად პირველად უხდებათ დაღლილობის სისტემატური დაძლევა. ამიტომ ყოველმხრივი სამედიცინო-ფიზიოლოგიური კონტროლის ჩაუტარებლად ასეთ შეჯიბრებებში უმცროსი ასაკის მოსწავლის ჩაბმა არ შეიძლება.

შეჯიბრების წესები

საერთო მითითებები

მინი-კალათბურთს თამაშობენ 8-დან 12 წლამდე ასაკის გოგონები და ბიჭები.

„ა“ ჯგუფში გაერთიანებული არიან 10-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვები, „ბ“ ჯგუფში—8-დან 10 წლამდე ასაკის ბიჭები და გოგონები.

ყოველ კოლექტივს ჰყავს უფროსი წარმომადგენელი (16 წლისა), რომელიც გუნდს შეჯიბრებებში ხელმძღვანელობს.

ყოველ მატჩში ერთი გუნდის შემადგენლობაში შეიძლება გამოვიდეს 10 (მინიმუმი) ან 12 (მაქსიმუმი) მოთამაშე.

გუნდი სარბიელზე გამოდის ერთნაირი სპორტული ფორმით. მოთამაშეებს მკერდსა და ზურგზე აწერიათ ნომრები 4-დან 15-მდე.

შეჯიბრების დაწყების წინ თითოეულმა გუნდმა მსაჯთა კოლეგიას შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის დამტკიცებული განაცხადი უნდა წარუდგინოს.

ყოველი მოთამაშე ვალდებულია წარმოადგინოს მოსწავლის მოწმობა ფოტოსურათით.

განაცხადში აღნიშნული უნდა იყოს გვარი, სახელი, დაბადების წელი და ექიმის ნებართვა ყველა მოთამაშისთვის ცალ-ცალკე (ამ ნებართვის გაცემის უფლება სკოლის ექიმსაც აქვს).

წარდგენილი საბუთების საფუძველზე განაცხადს ამტკიცებს სამანდატო კომისია.

თამაშის წესები

თამაში ოთხი პერიოდისგან შედგება. თითოეული პერიოდის ხანგრძლივობა 6 წუთია.

თუ თამაში ფრედ დამთავრდა, ინიშნება დამატებითი 2 წუთი, ვიდრე გამარჯვებულის საკითხი არ გადაწყდება. პერიოდებს შორის შესვენება 2 წუთია, ტაიმებს შორის — 10 წუთი. ერთი შეხვედრის მანძილზე თითოეულმა მოთამაშემ სათადარიგო სკამზე უნდა დაისვენოს, სულ ცოტა, 6 წუთს. თუ მოთამაშე პირველ სამ პერიოდში არ შეცვლილა, ბოლო პერიოდში იგი აუცილებლად უნდა შეიცვალოს. გუნდის ყოველმა წევრმა თამაშისთვის განკუთვნილი დროიდან მოედანზე 6 წუთს მაინც უნდა დაჰყოს.

გუნდს ყოველ 6 წუთში 1 წუთშესვენების უფლება აქვს. გამოუყენებელი ერთწუთიანი შესვენებით სხვა პერიოდებში სარგებლობა არ შეიძლება. დამატებით დროში ერთწუთიანი შესვენებები არ ეწყობა.

მდივანი ვალდებულია ბოლო პერიოდის დაწყების წინ მწვრთნელს მოახსენოს გუნდის იმ წევრთა შესახებ, რომელთაც განვლილ სამ პერიოდში არ უთამაშიათ.

მინი-კალათბურთის მოედნის ძირითადი ზომაა 18×12 მ. ამას შეიძლება დაემატოს სიგრძეში კიდევ 2 და სიგანეში 1 მ.

თამაში ტარდება საკიდ ან გადასატან ფარებზე. ფარი მცირე ზომისაა— 0,90×1,20 მეტრზე. რგოლის დიამეტრია 45 სმ — ფარიდან 15 სმ-ის დაშორებით. რგოლის სიმაღლე იატაკიდან 2,60 მეტრს უდრის. საჯარიმო ტყორცნის ხაზი ფარიდან 3,60 მეტრითაა დაშორებული. გვერდითი და პირის ხაზები შესაბამისად შემცირებული უნდა იყოს (მთავარი მოედნისადმი სიმეტრიულად).

შეჯიბრება სპეციალური ბურთებით ტარდება. ბურთის წრეწირი 68-72 სმ-ია, წონა — 450-480 გრ.

5 პერსონალური ან ტექნიკური შეცდომისთვის გუნდის წევრი მატჩის ბოლომდე ეთიშება თამაშს.

3 წამის წესი შეცვლილია 5 წამის წესით.

სხვა მხრივ თამაში კალათბურთელთა შეჯიბრების წესების მიხედვით ტარდება.

მატჩის დაწყების წინ გუნდები წარუდგებიან ერთმანეთს და მაყურებელს.

მსაჯთა კოლეგიიის შემადგენლობა და თამაშის წარმართვა

ა) ყოველ მატჩზე ინიშნება ხუთი მსაჯი: ორი მინდვრის მსაჯი, მსაჯი-მდივანი, მსაჯი-წამთაღმრიცხველი და მსაჯი-ფიქსატორი. ეს უკანასკნელი აღნიშნავს სათამაშო და დასვენების დროს.

ბ) სუფთა დროის გამოსათვლელად ჭადრაკის საათის გამოყენება სჯობს.

გ) თამაშის მიმდინარეობა უნდა ჩაიწეროს საქართველოს სსრ და ქ. თბილისის კალათბურთის ფედერაციების საბავშვო კომისიების ოქმებში.







თამაშისა და დასვენების დრო აღინიშნება საქართველოს სსრ და ქ. თბილისის კალათბურთის ფედერაციების საბავშვო კომისიების მიერ შედგენილ და დამტკიცებულ ოქმებში.

ე) შეჯიბრების მსაჯებს ნიშნავს კალათბურთის ფედერაციის მსაჯთა კოლეგია.

ვ) მატჩის სისტემასა და ხანგრძლიობას ადგენს შეჯიბრების ჩამტარებელი ორგანიზაცია. ასპარეზობაში უნდა მონაწილეობდეს შესაბამისი ასაკის,, სულ ცოტა, 4 გუნდი. შეჯიბრების ხანგრძლიობა დამოკიდებულია ადგილობრივ პირობებზე, შესაძლებლობებსა და ტრადიციებზე.

მითითებანი მდივნისადმი

მატჩის წინ:

მდივანი ვალდებულია გაეცნოს თამაშის მსვლელობის ჩაწერის წესებს.

თამაშის მსვლელობისას:

ა) თამაშის მომენტიდან ჩაგდებული ბურთი 2 ქულას იძლევა, საჯარიმო ტყორცნით ჩაგდებული ბურთი — 1 ქულას.

ბ) პერსონალური შენიშვნების ნიშანია „პ“, ტექნიკურისა „ტ“. იმ პერსონალური შენიშვნების აღნიშვნას, რომელთა გამოც ორი ტყორცნა ინიშნება, წრე უნდა შემოავლოთ. 5 პერსონალური შენიშვნის მერე მოთამაშე მოედანს ტოვებს.

სამახსოვრო

1. პირველ ყოვლისა შეამოწმეთ გამზადებული ოქმის სისწორე, მონაწილეთა სია, ნომრები, გამოჰყავით ანგარიშის ჩასაწერი სვეტი და აღნიშნეთ, სად „ა“ გუნდის ანგარიში იწერება, სად „ბ“ გუნდისა (სჯობს ფერადი ფანქრებით აღნიშნოთ, მაისურების ფერის შესაბამისად).
2. თამაშის დროს ანგარიშობენ დასვენების წუთების ჩაუთვლელად.
3. მოთამაშეთა შეცვლა: ამის შესახებ თავის დროზე უნდა განაცხადოს მწვრთნელმა; სპორტსმენს სათამაშო ფორმა უნდა ეცვას და მოედანზე გამოსვლის ნებართვას ელოდეს სკამზე, მსაჯთა მაგიდასთან, შეცვლისთვის გამოყოფილია 20 წამი.
4. გამარჯვებულად ითვლება გუნდი, რომელიც მეტ ქულას მოაგროვებს.

მითითებანი წამების აღმრიცხველი მსაჯებისადმი

ა) თამაშის პერიოდში იწერება, როდის გამოდის მოთამაშე სარბიელზე და როდის ტოვებს მას.

ბ) მეოთხე პერიოდის წინ მწვრთნელებს უნდა გაახსენონ იმ მოთამაშეთა შესახებ, რომელთაც დასვენებისთვის განკუთვნილი დრო ჯერ არ გამოუყენებიათ.

სათამაშო (წმინდა) დროის გაზომვა

საათი ჩაირთვება: ა) საწყისი ან სადავო გდების დროს, როცა ბურთი უმაღლეს წერტილს მიაღწევს და პირველ მოთამაშეს შეეხება; ბ) როცა მეორე საჯარიმო ტყორცნა უშედეგოდ მთავრდება და ბურთი კალათიდან ისევ მოედანზე ბრუნდება; გ) ბოლო ხუთ წუთში ბურთის თამაშში შეყვანისას, როცა მას მოთამაშე შეეხება.

საათი გამოირთვება: ა) მსაჯის ყოველ სასტვენზე, ბ) წესის დარღვევის დროს (პერსონალური, ორმხრივი, მრავალგზისი და ტექნიკური შეცდომები), გ) სადავო ბურთის დროს, დ) წესის ყოველგვარი დარღვევის დროს, ე) როცა ამოიწურება სათამაშო დროის ყოველი პერიოდის 6 წუთი, დამატებითი 2 წუთი, დასვენების ყოველი 2 წუთი.

სამახსოვრო

წამთა აღმრიცხველს არა აქვს უფლება თვითნებურად შეწყვიტოს თამაში და საათი გააჩეროს სათამაშო დროის გასვლამდე. მოთამაშეთა შეცვლა ნებადართულია მხოლოდ საათის გაჩერების დროს.

მინი-კალათბურთის ათი მცნება

1. ეცადე გულმოდგინედ შეასრულო მწვრთნელის ყველა მითითება.
2. მუდამ იფიქრე არა მარტო საკუთარ თავზე, არამედ შენს გუნდზეც.
3. უყოყმანოდ მიიღე მსაჯის ყოველი გადაწყვეტილება.
4. არ ეკამათო და ეკინკლაო მეტოქეს.
5. იყავი მუდამ თავშეკავებული.
6. სათადარიგოთა მერხზე თავი შეიკავე დამამცირებელი კომენტარებისგან.
7. იბრძოლე პატიოსანი გამარჯვებისთვის.
8. გამარჯვებას შეხვდი სპორტულად — აუღელვებლად, დინჯად.
9. იყავ თავაზიანი ყველა მოთამაშესთან, განსაკუთრებით, მეტოქეებთან.
10. შეინარჩუნე სიმშვიდე დაჯარიმების დროს.

* * *

დასასრულ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მინი-კალათბურთში ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებების ორგანიზაციისა და ჩატარების დროს თვალსაჩინო ადგილი მრავალმხრივ აღმზრდელობით მუშაობას უნდა დაეთმოს.

შეჯიბრებებში მოპოვებულ ყოველგვარ შედეგს ფასი ეკარგება, თუ მწვრთნელები და მასწავლებლები არ ეყრდნობიან ორგანიზებულ, დარაზმულ კოლექტივს, სადაც მთელი წლის მანძილზე სისტემატური სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა ტარდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

„სტროიტელი" არ ხუმრობს

აგრესიული სტუმრები

გუშინწინ გაიმართა მორიგი ტურის მატჩები

კიევი. „სტროიტელმა" მარცხიანად დაიწყო ჩემპიონატი—19 ქულით წააგო შეხვედრა ადგილობრივ არმიელებთან. ამით მან თავისებური ხარკი გადაუხადა ტრადიციას, შემდეგ კი ერთი მეორეზე „მიაწვინა" სამი მეტოქე, მათ შორის, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ცსკა და მტკიცედ დაისაკუთრა ადგილი ლიდერთა შორის. უმაღლესი საკალათბურთო ტიტულის მომავალ მფლობელზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, მაგრამ ახლავე შეიძლება ვთქვათ, რომ „სტროიტელს" არასდროს არ ჰქონია ისეთი სერიოზული შანსები, როგორც წლეულს.

რა არის ბოლოს და ბოლოს საჭირო საიმისოდ, რომ ჩემპიონი გახდე? მოუგო ყველა ძირითად პრეტენდენტს და არამც და არამც არ წააგო აუტსაიდერებთან. თუ ამ დებულების ჭეშმარიტებას უსიტყვოდ ვირწმუნებთ, „სტროიტელის" მდგომარეობა იდეალურია: უკრაინელებმა დაამარცხეს აუტსაიდერებიც („ურალმაში" და „ლოკომოტივი") და აღიარებული ფავორიტებიც (ცსკა და თბილისის „დინამო").

დიახ, გუშინწინ „სტროიტელმა" დაამტკიცა, რომ ცსკა-სთან 16 ქულით გამარჯვება შემთხვევითი წარმატება არ გახლდათ და კიდევ უფრო დამაჯერებელი სხვაობით (21 ქულით) მოუგო ვიცე-ჩემპიონს — თბილისის „დინამოს" — 97:76 (52:41).

შესაძლოა, ზოგმა „სტროიტელის" აღმავლობის მთავარ მიზეზად ის დაგვისახელოს, რომ გუნდი მხოლოდ ერთხელ გავიდა კიევიდან. არა მგონია, ეს არგუმენტი სწორი იყოს. უფრო სიმპტომატური ისაა, რომ, ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშის პოგულიაის წასვლის მიუხედავად (იგი კიევის ასკ-ში გადავიდა), „სტროიტელმა" შეინარჩუნა საბრძოლო სული და ყოველ მატჩში აღმავლობით თამაშობს.

თბილისის „დინამოს" მდგომარეობა აშკარად არასახარბიელოა. თავი დავანებოთ იმას, რომ ოთხი მატჩიდან ორის წაგება ვიცე-ჩემპიონისთვის არასაკადრისი შედეგია. ის ორი გამარჯვებაც, რომელთა წყალობით გუნდი VI ადგილზეა, არ გვაძლევს იმედიანი დასკვნების უფლებას. რიგაში დინამოელებმა 3 ქულით მოუგეს გუნდს, რომელსაც არც ერთი გამარჯვება არ ჰქონდა, თბილისის საოცრად უფერულ მატჩში კი (კიევის არმიელებთან) მხოლოდ მინიმალურ უპირატესობას მიაღწიეს.

თბილისის „დინამო". ყოველ შეხვედრაში საშუალოდ 76 ქულას აგროვებს (ეს საოცრად ცოტაა), საკუთარ კალათში კი 83 ქულას იღებს. სწორედ ამის გამო გუნდს უარყოფითი ბალანსი აქვს (—26) და, როგორც ჩანს, ერთხანს ვერც გამოასწორებს მდგომარეობას.

ყოველივე ეს იმის ნიშანია, რომ ჩემპიონატის რთულ გზას თბილისის „დინამო" უხალისოდ და, რაც მთავარია, მარცხიანად შეუდგა. ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო გუნდი ახლა მთელი რიგი პრობლემების წინაშე დგას. პირველ ყოვლისა, ესაა თაობათა ცვლის მტკივნეული საკითხი, რომელიც ერთი ხელის მოსმით ვერ გადაიჭრება. ესაა, კიდევ, ტრავმირებულ მოთამაშეთა რაც შეიძლება სწრაფი გამოჯანმრთელება. და კიდევ, მორალური ხასიათის ფაქტორი — საკუთარი ძალის რწმენა.

თბილისის „დინამოს" წლეულს ორმაგი დატვირთვით მოუწევს თამაში (საკავშირო ჩემპიონატსა და ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში), ამიტომ მას შარშანდელზე მეტი მობილიზებაც მართებს.

მოსკოვი. ადგილობრივმა „დინამომ" უმასპინძლა კაუნასის „ჟალგირისს", რომელმაც ბოლოს და ბოლოს დატოვა თავისი ქალაქი და ბედი სტუმრადაც სცადა. მოსკოველებს არ ჰქონდათ უფლება სტუმართმოყვრულად დახვედროდნენ მეტოქეს თუნდაც იმიტომ, რომ სახიფათო ზონის უშუალო მეზობლობაში არიან. „დინამომ" გულით და სულით მოინდომა მოგება და საამისოდ ყველაფერი იღონა. მაგრამ ქულის საოცარი სიყვარული გამოავლინა „ჟალგირისმაც". ამიტომაც მოედანზე გაჩაღდა უაღრესად პრინციპული და დაუნდობელი ბრძოლა.

ბოლოს სტუმრებმა იმძლავრეს და ზედ მსაჯის საფინალო სასტვენის წინ აილეს ის გადამწყვეტი ქულა, რომელმაც მათ გამარჯვება მოუტანა. 75:74 — ასე დამთავრდა ეს შეხვედრა (პირველი ტაიმი — 51:35).

ნ. ბუზუშვილი.

გათამაშების ცხრილი კომენტარებით

მდგომარეობა 10 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სტროიტელი" (კიევი)	5	4	1	420—354	4
ცსკა	5	4	1	426—371	4
ასკ (კიევი)	5	3	2	411—378	3
„სპარტაკი" (ლენინგრადი)	3	3	0	246—218	3
„ჟალგირისი" (კაუნასი)	4	3	1	318—313	3
„დინამო" (თბილისი)	4	2	2	305—331	2
ასკ (რიგა)	4	2	2	310—300	2
„ბურევესტნიკი" (თბილისი)	5	2	3	362—403	2
„დინამო" (მოსკოვი)	4	1	3	312—329	1
„ურალმაში" (სვერდლოვსკი)	6	1	5	446—518	1
„ლოკომოტივი" (ალმა-ათა)	6	1	5	472—526	1
„კალევი" (ტარტუ)	3	1	2	241—245	1

როგორც ხედავთ, სატურნირო ცხრილში I ადგილზეა „სტროიტელი", რომელსაც ცსკა-სთან შედარებით გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა აქვს („სტროიტელს" +66, ცსკა-ს +55). მაგრამ უკრაინელ კალათბურთელებს ამ ნიშნით კი არ ეძლევათ უპირატესობა, არამედ იმიტომ, რომ მათ მოსკოველი მეტოქეები ურთიერთშეხვედრაში დაამარცხეს (69:53).

სულ სხვაგვარადაა მდგომარეობა ე. წ. 3-ქულიან გუნდებთან (კიევის ასკ, „სპარტაკი" და „ჟალგირისი"). მათ ერთმანეთში არ უთამაშიათ, ამიტომ ადგილების განაწილებისას მხედველობაში ვიღებთ გატანილი და მიღებული ბურთების საერთო სხვაობას.

ურთიერთშეხვედრების პრინციპითაა გამოწვეული ისიც, რომ „კალევს" სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილი უკავია, ხოლო მოსკოვის „დინამოს", „ურალმაშს" და „ლოკომოტივს" — უკეთესი. აქ ურთიერთშეხვედრების შედეგად „დინამოსა" და „ურალმაშს" პლუს 1 ქულა აღმოაჩნდათ (თითოეულს), „ლოკომოტივს"—0, ხოლო „კალევს" — მინუს 2. ამავე პრინციპით გაუსწრო თბილისის „დინამომ" რიგის ასკ-ს, რომელსაც ბურთების საერთო ბალანსი უკეთესი აქვს.

ყაზბეგის საშუალო სკოლისა და სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთა შორის ნაყოფიერად შრომობს რსფსრ-ს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის ოსტატი ზაურ ტუჩაშვილი. მისი ხელმძღვანელობით მოსწავლეები ეუფლებიან ჭიდაობის ანბანს, იძენენ ოსტატობას.

სურათზე: ზ. ტუჩაშვილი მორიგი მეცადინეობის დროს.

ფოტო ვ. წიკლაურისა.

გ. გუდაშვილი უკვე მერამდენე წელია სსრ კავშირში ერთ-ერთ საუკეთესო ბადროს მტყორცნელად ითვლება. შარშან მან ქვეყნის რეკორდი დაამყარა და მეხიკოს ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება მიიღო. გუდაშვილმა წლეულსაც რამდენიმეჯერ აჩვენა კარგი შედეგი.

მას არც ბირთვის მკვრელი მ. ოყროშიძე ჩამორჩება, რომელმაც საქართველოში პირველმა გადააცილა ბირთვი 17 მეტრს, შემდეგ კი 18-მეტრიანი ზღვარიც გადალახა. სეზონის დასასრულს მეგობრებმა რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვეს.

* * *

სურათზე: გ. გუდაშვილი (მარცხნივ) და მ. ოყროშიძე თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე ერთმანეთს ჩემპიონობას ულოცავენ.

ფოტო ო. გელაშვილისა.

საერთაშორისო ფოსტიდან

„მარდი ქურციკების" ოდისეა

ქურციკების თვინიერი ხასიათი საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ამ ოდისეასთან მათ პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვთ. უბრალოდ, მათი სახელი — „მარდი ქურციკები" აღნიშნულია სამხრეთ აფრიკის რეგბისტთა გუნდის „სპრინგბოქსის" დროშაზე. ასეთი სახელის მქონე გუნდს თითქოს კარგი შეხვედრის იმედი უნდა ჰქონოდა დიდ ბრიტანეთში, ფეხბურთის ამ ნაირსახეობის სამშობლოში, სადაც რეგბის ყოველ მატჩს აურაცხელი მაყურებელი ესწრება.

მაგრამ სამხრეთ აფრიკაში რასისტული რეჟიმი მძვინვარებს. მხოლოდ თეთრკანიანებს აქვთ უფლება საერთაშორისო სარბიელზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სახელით გამოვიდნენ. და აი, ინგლისელები ბოიკოტს უცხადებენ აპარტეიდის სპორტულ მისიონერებს. ინგლისში „სპრინგბოქსის" პირველი მატჩის შემდეგ „მორნინგ სტარი" წერდა: „ტვიკენჰემის" სტადიონზე თითოეულ მაყურებელზე 14 ცარიელი ადგილი მოდიოდა. ტრიბუნებზე, სადაც 72 ათასი კაცი თავსდება, 5 ათასი მაყურებელი იჯდა. თუმცა არა, მაყურებელი კიდევ უფრო ცოტა იყო, რადგან სამხრეთ აფრიკის თითოეულ მოთამაშეზე 30 პოლიციელი მოდიოდა. აღარას ვამბობთ პოლიციის ძაღლებზე და ცხენებზე..."

ვიდრე კიდევ უფრო გულგრილ შეხვედრებზე ვიამბობდეთ, დავბრუნდეთ „მარდი ქურციკების" სამშობლოში, სადაც გამომგზავრების წინ მათ მხურვალედ დაულოცა გზა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ი. ფორსტერმა. როგორც ჩანს, მას იმედი ჰქონდა ბრიტანეთის პრესაში დადებითი რეზონანსისა და თითქოს სხვათა შორის აღნიშნა, რომ: „სამხრეთ აფრიკაში ჩამოსულ არც ერთ გუნდს არ უნდა ეშინოდეს, რომ მის საქმეში ვინმე ჩაერევა". შემდეგ მან დასძინა: „ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულებს ისეთ შეხვედრას მოვუწყობთ, როგორიც ნამდვილ სტუმრებს ეკადრებათ".

„ნამდვილ სტუმრებში" ბატონი ფორსტერი, რა თქმა უნდა, მხოლოდ თეთრკანიანებს გულისხმობდა. ცნობილია, რომ ამას წინათ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში შესვლის ნებართვა არ მისცეს ცნობილ ამერიკელ ზანგ ჩოგბურთელს ა.ეშს. რეგბის მოყვარულებს არ დავიწყებიათ სკანდალი, რაც სამხრეთ აფრიკაში მსოფლიოს ჩემპიონის — ახალი ზელანდიის ნაკრების გამოსვლის ჩაშლამ გამოიწვია. ეს იმიტომ მოხდა, რომ გუნდის შემადგენლობაში იყვნენ მაორის ხალხის — ამ ქვეყნის ძირითადი მოსახლეობის წარმომადგენლები.

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ პრემიერ-მინისტრი ფორსტერი ცდილობს ფილოსოფიური ბაზა შეუქმნას აპარტეიდის პოლიტიკას სპორტში და თან ცდილობს ყველა დაარწმუნოს ამ სიტყვების სიმართლესა და გულწრფელობაში. 3 ნოემბერს იგი პათოსით გამოვიდა ბი-ბი-სის პროგრამაში „პანორამა":

„თეთრკანიანები თავიანთ თამაშებს მუდამ ცალკე თამაშობდნენ, როგორც ინდიელები — თავისას. ახლაც იქცეოდნენ მუდამ ფერადკანიანები და შავკანიანები. ყველა ცალ-ცალკე თამაშობდა. ასეთი წესი იყო ჩვენს ქვეყანაში იმ დროიდან, როცა თამაშები გაჩნდა, როცა სპორტი გაჩნდა. როცა „სპრინგბოქსის" და დიდი ბრიტანეთის სპორტულ ურთიერთობაზე ვლაპარაკობთ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს კავშირი მხოლოდ თეთრკანიანი სამხრეთ აფრიკელებისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთდამოკიდებულებას ეხება. ასე იყო იმთავითვე დაკანონებული თეთრკანიანთა შორის".

მაგრამ ბრიტანეთის კუნძულებზე სხვაგვარად ფიქრობდნენ. მართალია, „სპრინგბოქსს" პოლიციის გარდა სხვა მოკავშირეებიც გაუჩნდნენ, რომელთაგან ზოგიერთი ფრიად რესპექტაბელური და გავლენიანიც იყო.

ავიღოთ, მაგალითად, ოქსფორდის უნივერსიტეტის კლუბის ხელმძღვანელობა, ან ტურის ორგანიზატორები — რეგბის ბრიტანული კავშირის ლიდერები. ისინი უკმაყოფილონი იყვნენ სამხრეთაფრიკელი სტუმრების ასეთი მიღებით.

უმოქმედოდ არც მოპირდაპირე მხარე იყო. „აპარტეიდის საწინააღმდეგო მოძრაობის" აღმასრულებელმა მდივანმა ეტილ დე კეისერმა მატჩის წინ განაცხადა: „ჩვენ დავგეგმეთ და გავაფრთხილეთ, რომ სტადიონის დასაცავად გამოყენებული იქნება ყველაფერი, ჯარისა და ძაღლების ჩათვლით". მაგრამ ტურის ორგანიზატორები იმდენად დააფრთხო დემონსტრანტების რისხვამ, რომ ოქსფორდიდან მატჩი პორტსმუტში გადაიტანეს, პორტსმუტიდან ოლდერშოტში. ბოლოს და ბოლოს, შეხვედრა ტვიკენჰემში ჩატარდა.

„ქურციკების" ასეთი „ხტუნვა" სამხრეთ აფრიკის გაზეთმა „დი ბელდმა" (იოჰანესბურგი) ტრიუმფად შეაფასა. მართალია, სტუმრებმა მატჩი წააგეს, მაგრამ გაზეთი ზეიმობდა. მისი აზრით, ამ შეხვედრაში სპორტული შედეგი არ იყო მთავარი. მთავარი თურმე ის გახლდათ, რომ „ბოლოს და ბოლოს, გაიმარჯვა პოლიციამ... და მაინც... რეგბის ბრიტანულმა კავშირმა უნდა მიიღოს ზომები, რათა სხვა ადგილებში დემონსტრაციები არ მოეწყოს".

მაგრამ სამხრეთაფრიკელ სტუმრებს ყველგან პროტესტით ხვდებოდნენ. დემონსტრანტებმა, ფაქტიურად, ყველა მატჩი ჩაშალეს.

„სპრინგბოქსი" რასისტული რეჟიმის წარმომადგენელი იყო. ამიტომ სამხრეთ უელსის 43 ათასმა მემაღაროემ მიიღო მოკლე, მაგრამ უაღრესად აშკარა რეზოლუცია: „გავაძევოთ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რეგბისტები დიდი ბრიტანეთიდან!". მათ მხარს უჭერენ მანჩესტერელი სტუდენტებიც. ნოტინჰემის უნივერსიტეტის 2 ათასი სტუდენტი მიდის სტადიონზე, რათა ხელი შეუშალოს „ქურციკებთან" მატჩის ჩატარებას.

დემონსტრანტების მხარეზეა ბევრი სპორტსმენიც. სუონსიში ათასობით პოლიციელი დაესხა თავს აპარტეიდის მოწინააღმდეგეებს. „სპრინგბოქსთან" მატჩში თამაშზე უარი თქვა უელსის ნაკრების წევრმა ჯ. ტეილორმა. მან განაცხადა: „აპარტეიდის პოლიტიკა სამხრეთ აფრიკის მოქალაქეთა უმეტესობას „მეორეხარისხოვან" ადამიანებად აქცევს მე ამას არ შევურიგდები და არ უარვყოფ ჩემს პრინციპებს იმ შემთხვევაშიც კი, პირველი კლასის გუნდთან სათამაშოდ რომ მიმიწვიონ". მალე ტეილორის მაგალითს მიბაძა ნიუბრიჯელმა ჯ. პალმერმა: „მე მიმაჩნია, რომ აპარტეიდის პოლიტიკის მხარდაჭერა იქნება არა თუ „სპრინგბოქსის" წინააღმდეგ თამაში, არამედ ტრიბუნაზე მაყურებლად ჯდომაც კი".

ეს ყოველივე ნიშნავს, რომ ბრიტანეთის კუნძულების მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოლიდარობას უცხადებს სამხრეთ აფრიკის მოსახლეობის უმეტესობას, რომელსაც აპარტეიდის პოლიტიკის უღელი აწევს.

ამ პოლიტიკას დიდი ხანია კიცხავს მსოფლიო საზოგადოებრიობა, მათ შორის, მილიონობით სპორტის მოყვარული. ასეთი პოლიტიკის რასისტული საფუძველი აშკარაა და მას ვერც დამალავ, ვერც შეალამაზებ. საკმარისია მოვიყვანოთ ორი თითქმის ერთნაირი შეხედულება, რომელთაც წლები აშორებს ერთმანეთს:

„სამხრეთ აფრიკის ფერადკანიან ჩოგბურთელთა თამაშის დონე ძალზე დაბალია. მათგან ვერავინ დაიკავებს ადგილს ჩვენს პირველ 52 მოთამაშეს შორის", —ასე ამბობდა სპორტული ჩინოვნიკი, თეთრკანიანი სამხრეთაფრიკელი ამ რესპუბლიკის 100-პროცენტიანი „თეთრი" შემადგენლობის შესახებ დევისის თასის გათამაშებაში („სანდი ტაიმსი", 1969 წლის 3 აგვისტო).

„ოლიმპიურ თამაშებში მხოლოდ არიელები იმიტომ ხვდებიან, რომ სხვები ოლიმპიური გუნდისთვის საკვალიფიკაციო ნორმებს ვერ შეასრულებენ. ჰაილ ჰიტლერ!" — ეს სიტყვები ეკუთვნის რიტერ ფონ ჰალტს, ნაცისტური გერმანიის სპორტის მესვეურს.

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

ა. იურიევი.

წამები, წუთები, კილოგრამები, სანტიმეტრები...

△ **ნიუ-იორკი.** ათჯიდში მეხიკოს ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. ტუმეიმ (აშშ) ოფიციალურად განაცხადა, რომ თავს ანებებს აქტიურ სპორტს და ცოლად ირთავს ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონს მერი ბიგნელს (რენდის ყოფილ მეუღლეს).

△ **ჟენევა.** მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში ხუთჭიდელმა ვალდბურგერმა 200 მეტრზე რბენაში შვეიცარიის ახალი რეკორდი დაამყარა (24,1), ხუთჭიდში კი 4953 ქულა დააგროვა.

△ **მელბურნი.** სამხრეთის ნახევარსფეროზე ზაფხულის მოახლოებასთან ერთად ავსტრალიელი მძლეოსნებისთვის აქტიური სეზონი იწყება. აქ გამართულ შეჯიბრებაში 220 იარდზე რბენა მოიგო უილსონმა — 20,8. მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ნორმანი მას 0,2 წამით ჩამორჩა. 3 მილზე რბენაში იმარჯვა კლარკმა — 13.21,2. 5000 მეტრზე კლარკს აჯობა ო'ბრაიენმა — 13.42,2. პეკჰემმა 212 სმ სიმაღლე დაძლია, მაკგრატმა კი სამხტომში 16,44 მ აჩვენა. ქალთაგან აღსანიშნავია ბოილი, რომელმაც 100 იარდი 10,5 წამში გაირბინა, 220 იარდი კი 23,2 წამში.

△ **სტოკჰოლმი.** აქ გაიმართა შვეციისა და პოლონეთის ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. როგორც ვაჟებში (279,2:270,25), ისე ქალებში (362,05:355,0) გაიმარჯვეს პოლონელებმა. ვაჟთა პირად ტურნირში უძლიერესი აღმოჩნდა ს. კუბიცა (პოლონეთი), ქალებში—მ. ჰოლმი (შვეცია).

△ **ბუდაპეშტი.** უნგრელი ტანმოვარჯიშეები აქ ფრანგ კოლეგებს მასპინძლობდნენ და დაამარცხეს ისინი: ვაჟებმა — 546,5:535.6, ქალებმა — 369,8:354,4. პირად შეჯიბრებებშიც მასპინძლებმა იმარჯვეს: მოლნარმა 110,65 ქულა დააგროვა, ქალებში უძლიერესმა ხორვატმა კი 74,55.

△ **კილი.** გფრ-ის მძლეოსნებმა დახურულ დარბაზში ევროპის ჩემპიონატისთვის სამზადისი დაიწყეს და აქ გამართეს ტურნირი, რომელშიც ი. ზიგჰარტმა 216 სმ სიმაღლე დაძლია.

△ **მადრიდი.** შუბის ტყორცნაში ესპანეთის რეკორდსმენმა ფ. ტალონმა აქ გამართულ შეჯიბრებაში 75,50 მ აჩვენა, რითაც თავის ძველ მიღწევას 64 სმ დაუმატა.

△ **ობერკოფი.** გდრ-ის „მფრინავმა მოთხილამურეებმა" აქ გამართეს ბოლო შეჯიბრება ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინიდან ხტომაში. გაიმარჯვა რ. შმიდტმა — 76 და 71 მ (211,3 ქულა).

△ **პრაღა.** სათხილამურო სპორტში მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა განაცხადების მიღების ვადა 1970 წლის 3 თებერვლამდე გააგრძელა. ჯერჯერობით ასპარეზობაში მონაწილეობის სურვილი 25 ქვეყანამ გამოთქვა.

△ **სოფია.** ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გამართულ ასპარეზობაში ი. ბლაგოევამ 183 სმ სიმაღლე გადალახა და გაიმეორა ბულგარეთის რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნის. 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში მაღალი შედეგი (8.27,2) აჩვენა ევროპის ჩემპიონმა მ. ჟელევმა.





წარმოდგენა არ შედგა

დასავლეთის პრესაში ხშირად შეხვდებით ცნობებს, რომლებიც ცირკის მსახიობთა დაღუპვის ამბავს გვაუწყებენ. „სუფთა ჰაერზე გამართული ატრაქციონების" ორგანიზატორები უჩვეულო ტრიუკებს არიან დახარბებული და თავიანთ სენსაციურ პროგრამებში უსაფრთხოების ელემენტარულ წესებს არ იცავენ.

ამის ერთ-ერთი მაგალითია მოხეტიალე აკრობატთა გამოსვლა შვეციის ქალაქ კალიკსში. ერთ შაბათ საღამოს ბაზრის მოედანზე მაღალი ანძა აღიმართა. ცოტა ხნის შემდეგ მოხეტიალე ცირკის მფრინავმა აკრობატებმა წარმოდგენა დაიწყეს.

40-მეტრიან სიმაღლეზე პირველი ჰორსტ გიუნტერ ბუშგაისტერი ავიდა. 25 წლის აკრობატმა ხელები გაშალა, რათა წონასწორობა არ დაეკარგა და ანძის წვერზე დაიწყო ქანაობა. უეცრად ანძა გადატყდა და ჰორსტი ძირს გადმოეშვა. მან სცადა ანძის გვერდითი გვარლისთვის ჩაეჭიდა ხელი, მაგრამ ვერ მოახერხა. აკრობატი იქვე გარდაიცვალა. „სენსაციური წარმოდგენა" ტრაგიკულად დასრულდა.

იქ, სადაც ფული და რეკლამა ადამიანებს ასეთი რისკისკენ უბიძგებს, მსგავსი შემთხვევები იშვიათი არაა.

ჟურნალ „შტერნიდან" გადმობეჭდილ სურათებზე თქვენ ხედავთ ჰ. ბუშგაისტერს თავისი უკანასკნელი წარმოდგენის დროს.

[illegible]

კილი, 8 დეკემბერი. ჭეშმარიტად ამოუწურავი ენერგიით ებრძვის საკუთარ რეკორდებს საშუალო წონის შვედი ძალოსანი ჰ. ბეტენბორგი. შვეციის სამხრეთ-დასავლეთში მდებარე ამ ქალაქში ახლახან მან კვლავ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი აჭიმვაში და მისი ჭერი 172,5 კგ-მდე ასწია.

მამაცი იატაკქვეშელის ხსოვნას

მოგილიოვი, 8 დეკემბერი. ნორჩი პატრიოტის, იატაკქვეშელ ტანია კარპინსკაიას ხსოვნას მიეძღვნა პატარა ჩოგნის ოსტატთა აქ დამთავრებული ტურნირი, რომელიც ამიერიდან ტრადიციად იქცევა, პირველი გამარჯვება მოიპოვეს მოსკოვის ნორჩმა ჩოგბურთელებმა, რომლებმაც მასპინძლების გუნდს მოუგეს. 14-15 წლის ბიჭებში გამოირჩეოდა ასევე მოსკოველი სტუმარი, ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი ნორჩი ჩოგბურთელი ვ. ფურსოვი, გოგონებში — მისი თანაქალაქელი ქ. პეტროვა.

თავის დროზე ტ. კარპინსკაიაც გატაცებული იყო სპორტით, მაგრამ, როცა საბჭოთა კავშირს გერმანელები დაესხნენ თავს, იგი მოგილიოვის იატაკქვეშეთის მოყავშირე გახდა და დედასთან ერთად შინ კონსპირაციული ბინა მოაწყო. გერმანელებმა მიაგნეს მამაც გოგონას კვალს და წამების შემდეგ სიკვდილით დასაჯეს.

თანაქალაქელები ფაქიზად ინახავენ ნორჩი გმირის ხსოვნას. მისი სახელი ეწოდა ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას და რამდენიმე პიონერულ რაზმეულს. ამიერიდან კარპინსკაიას ხსოვნას მიეძღვნება ჩოგბურთელთა ტურნირიც (საკდესი).

შაშის დაფებთან

ტრადიციის ერთგული

მხოლოდ ასე შეიძლება ითქვას შაშში საქართველოს სამგზის ჩემპიონზე, ქუთაისელ სტუდენტ ი. ტყაბლაძეზე, რომელიც ახლაც ერთპიროვნულად ლიდერობს საქართველოს IV ჩემპიონატს: 8 ტურის შემდეგ იამზეს 7,5 ქულა აქვს.

უკვე მეორე კვირაა თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, საქართველოს მოშაშე ქალთა პირველობა მიმდინარეობს. ტურნირში თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ფოთის, რუსთავისა და გარდაბნის 14 წარმომადგენელი იბრძვის. I-II ადგილებზე გასულნი საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში მონაწილეობის უფლებას მიიღებენ.

ი. ტყაბლაძეს კვალში მიჰყვებიან თბილისის პიონერთა სასახლის აღსაზრდელი თ. გამხიტაშვილი (6,5 ქულა), გარდაბნელი ე. ფუხაშვილი (6), თბილისელები ე. შვედოვა და ლ. ზოლოტუხინა — 5,5-5,5 ქულა და თითო გადადებული პარტია.

[illegible]

● **მოსკოვი,** 8 დეკემბერი. წყალბურთელთა 1970 წლის ევროპული ჩემპიონატი ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში გაიმართება. როგორც ცნობილი გახდა, ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი განაცხადა 18 ქვეყანამ, რომელთა გუნდებიც სამ ჯგუფად არიან დაყოფილი.

● **ბელგრადი,** 8 დეკემბერი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში — „განთავისუფლების ტურნირში" 8 ტურის შემდეგ 5-5 ქულით ერთბაშად ოთხი მონაწილე ლიდერობს: მ. მატულოვიჩი (იუგოსლავია), ლ. ლენდიელი (უნგრეთი), დ. სათლჩი (კანადა) და ლ. პოლუგაევსკი (სსრ კავშირი), მაგრამ პირველ სამს თითო გადადებული პარტია აქვს დასამთავრებელი. ლიდერთა ჯგუფს ნახევარი ქულით ჩამორჩება იუგოსლაველი ბ. ივკოვი. 4-4 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ ე. გელერს (სსრ კავშირი) და ს. გლიგორიჩს (იუგოსლავია). მსოფლიოს ექს-ჩემპიონს მ. ბოტვინიკს (სსრ კავშირი) 2,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს. VIII ტურში პოლუგაევსკიმ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ლენდიელთან, გელერმა გადადო პარტია დ. ჩახოვიჩთან (იუგოსლავია), ხოლო ბოტვინიკმა — გ. ტრინგოვთან (ბულგარეთი).

ორი მთავარი პრეტენდენტი

ასუჯრიან შაშში საქართველოს ვაჟთა პირველობაში 10 ტურის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა: თ. ბარამიძე (რუსთავი)—8,5 ქულა, ბ. შავერდიანი — 8, ს. თომაშვილი (ორივე — თბილისი) — 7,5, ნ. მოვჩანი (სოხუმი) — 6 (1), ი. სპესივცევი (თბილისი), დ. ჯავახია (თელავი)—5,5-5,5, გ. ამირხანოვი (თბილისი), ს. პეტროვი (ახალციხე) — 5-5 (2-2), ი. მოძღვრიშვილი (ქუთაისი) — 4,5, ნ. ძამუნაშვილი, ბ. ლიტვაკი — 4-4, ვ. ბახტაძე — 3,5, ვ. ინწკირველი — 3 (1), ზ. ქიტუაშვილი — 3, შ. თუმანიშვილი — 2,5, ვ. ნინუა (ყველა—თბილისი) — 1.

ჩემპიონატმა, როგორც ხედავთ, რესპუბლიკის თითქმის ყველა საუკეთესო მოშაშე მიიზიდა. როგორც მოსალოდნელი იყო, უძლიერესის სახელისთვის ბრძოლა ძირითადად მოწინავე მოშაშეთა შორის გაჩაღდა.

ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა, რუსთაველმა ექიმმა თ. ბარამიძემ. ზედიზედ ოთხი პარტიის მოგების შემდეგ, V ტურში მას თომაშვილმა დააყრევინა ფარ-ხმალი. მაგრამ გამოცდილი ოსტატი როდი დაიბნა: პრინციპული შეხვედრა მოუგო ჭაბუკ შავერდიანს, ხოლო სპესივცევს ყაიმზე შეუთანხმდა.

შავერდიანმაც კარგად აიღო სტარტი — 6 ქულა 7-დან. ბარამიძესთან მარცხმა მას თითქოს ძალა შემატა და ჭაბუკმა ზედიზედ სძლია ნინუასა და მოძღვრიშვილს. თბილისელი მოსწავლე გამოცდილი ბარამიძის ყველაზე სერიოზული მეტოქეა ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლაში.

სწორედ ეს ორი მოშაშეა ასუჯრიან შაშში სსრ კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალის ორი საგზურის მთავარი პრეტენდენტი.

ბრძოლა ტურნირში გადამწყვეტ ფაზაში შევიდა: ფინიშამდე 5 ტური დარჩა.

თ. ნინოშვილი.

მსოფლიო ჩემპიონი — მეორე

რომი, 8 დეკემბერი. აქ დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი ასუჯრიან შაშში. ოქროს მედალი მოიხვეჭა ჰოლანდიელმა ტ. სეიბრანდსმა (14 ქულა 15-დან). II ადგილზეა მსოფლიო ჩემპიონი ა. ანდრეიკო. მეორე საბჭოთა მოშაშემ, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ი. კუპერმანმა IV ადგილი დაიკავა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ყურადღება!

რესპუბლიკის ფიზკულტურის მუშაკთა თათბირ-სემინარი 10-12 დეკემბრის ნაცვლად შედგება 17-19 დეკემბერს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 11740